

მომსახურების პირობები

1. პლატფორმით და მის მიერ შემოთავაზებული მომსახურებებით სრულად სარგებლობისთვის მომხმარებელი უნდა დარეგისტრირდეს ვებგვერდზე www.easyjobs.ge.
2. მომსახურების საგანს წარმოადგენს მომხმარებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის განთავსება განცხადების სახით ამავე პლატფორმაზე.
3. განცხადების განთავსება, პროფილის შექმნა ან დამსაქმებელთან თუ კანდიდატთან დაკავშირება პლატფორმის მეშვეობით შეუძლებელია რეგისტრაციის გარეშე.
4. მომხმარებელი ვალდებულია პირადად ისარგებლოს რეგისტრირებული პროფილით.
5. პლატფორმაზე რეგისტრაციით ან განცხადების განთავსებით მომხმარებელი უფლებას ანიჭებს EasyJobs.ge-ს გამოაქვეყნოს მომხმარებლის მიერ მითითებული ინფორმაცია.
6. Easyjobs.ge-ს ადმინისტრაციას უფლება აქვს არ განათავსოს განცხადება ან ინფორმაცია, რომელიც არღვევს ეთიკის ნორმებს ან ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. ასევე, თუ განცხადება არ შეიცავს საკმარის ინფორმაციას.
7. Easyjobs.ge-ს ადმინისტრაციას არ ეკისრება ვალდებულება წარმოადგინოს ახსნა-განმარტება ექსპუნთის გაუქმებისა თუ განცხადების განუთავსებლობისთვის ამავე მომსახურების პირობების დარღვევის გამო.
8. მომხმარებელი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ ვებ-გვერდზე განცხადების განთავსებით მის მიერ მითითებული ინფორმაცია ხდება საჯარო და ხელმისაწვდომი პლატფორმით მოსარგებლე სხვა მომხმარებლებისთვის.
9. მომხმარებელი არის სრულად პასუხისმგებელი მის მიერ განთავსებული განცხადების შინაარსსა და პლატფორმის ფარგლებში განხორციელებულ სხვა ქმედებებზე, ხოლო EasyJobs.ge-ს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა განცხადების შინაარსით გამოწვეული ნებისმიერი სახის ზიანის მიყენების შემთხვევაში.
10. მომხმარებლის მიერ მოწოდებული განცხადების შინაარსი არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი, დისკრიმინაციული, ვულგარული ან მუქარის შემცველი, არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც ლახავს რაიმე ფორმით მესამე პირის რეპუტაციას, არ უნდა არღვევდეს მესამე პირის ინტელექტუალური საკუთრების უფლებას, არ უნდა შეიცავდეს ცრუ ინფორმაციას ან ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
11. პლატფორმა არ განათავსებს ერთი და იგივე შინაარსის განცხადებას ხელმოორედ.
12. აკრძალულია ქსელური მარკეტინგის განცხადების გამოქვეყნება.

13. EasyJobs.ge უფლებამოსილია მიიღოს, შეინახოს და დაამუშავოს მომხმარებლის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა მომსახურების პირობებით გათვალისწინებული სერვისის განხორციელების მიზნით.
14. მომხმარებელი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც იქნა მისთვის მიწოდებული პლატფორმით სარგებლობის პროცესში ადმინისტრაციის თუ პლატფორმით მოსარგებლე მესამე პირის მიერ.
15. მომხმარებელს შეუძლია დაუკავშირდეს პლატფორმის ადმინისტრაციას მითითებული ელ. ფოსტის მეშვეობით support@easyjobs.ge მომსახურებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითზე.

მადლობა თანამშრომლობისთვის!

გისურვებთ წარმატებას!